№ 147 თბილისის მოსაზღვრე ოკუპირებული საქართველო წელიწადი მეხუთე

საქართველოს რესპუბლიკა

ფასი 3 მან. შაგათი, ივლისის 3 1920 წ.

თბილისის მოსაზღვრე ოკუპირებული საქართველოს გაზეთი
(ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით)

საქართველოს რესპუბლიკა

გაზეთი ღირს თვეში 70 მან., ცალკე ნომერი ყველგან 3 მან. განცხადების ფასი 1-ლ გვ. პეტიტის სტრიქ. 8 მან. 4-ხე გვ. 6 მან. სამწლეულიარო განცხ. ჩვეულებრივი ზომის (15—2) 150 მ., განცხ. სამუთების დაკარგვის შესახებ 110 მ. სასამართლო. ნუწყ. განცხადებანი 40 მ. წისია განცხ. დაბეჭდვილის ნიხრზე მეტი 20%. რედაქციის და კანტ. მისამართი: ტფ., ბარონის ქ. № 6. ტელეფ. 1—32

ქ. ტფილისის გამგეობა

იწვევს მსურველთ

გამგეობის მთავარ გუხალტრის თანამდებობაზედ.

საჭიროა სპეციალური ცოდნა ორმაგი ბუხჰალტერიისა და დიდი გამოცდილება მუნიციპალურ მრავალ ფეროვან მეურნეობის ანგარიშის წარმოებაში. პირობების შესახებ მოლაპარაკება შეიძლება ქალაქის გამგეობაში საფინანსო განყოფილების გა- 719 მგეობის წევრთან. 3—1

ოფიციალური განყოფილება

განკარგულებანი

მთავრობის საქმეთა მმართველისა.

16 ივნისი, 1920 წ., № 18.

1. მთავრობის საქმეთა მმართველობის რეგისტრატორი ვასილ იოსების ძე ყიფიანი დათხოვნილ იქმნას სამსახურიდან, თანახმად მისი თხოვნისა, ამა წლის 1 ივლისიდან.

2. ამავე მმართველობის ბაზინდარი გიორგი ლომპიძე დათხოვნილ იქმნას სამსახურიდან ამა წლის 1 ივლისიდან, თანახმად მისი თხოვნისა.

3. ამავე მმართველობის მანქანაზე გადამწერი მარიამ ალექსანდრეს ასული ყიფიანი განთავისუფლებულ იქმნას თანამდებობიდან ამა წლის 20 ივნისიდან და ამ დროიდან დაინიშნოს ის მთავრობის საქმეთა მართველობის რეგისტრატორად.

4. ამავე მმართველობის საქმის მწარმოებლის თანაშემწე ალექსანდრე ლომთაძე დათხოვნილ იქმნას სამსახურიდან, თანახმად მისი თხოვნისა, ამა წლის 1 ივლისიდან.

მთავრობის საქმეთა მმართველი
ქ. ჯაფარიძე.

—

ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრისა.

5 ივნისი, 1920 წ., № 188.

დათხოვნილ იქმნას სამსახურიდან თანახმად მისი თხოვნისა ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს რევიზორი გიორგი ესტატეს ძე მუხრანსკი ამა 1920 წლის 1 ივნისიდან.

30 ივნისი, 1920 წ., № 200.

დანიშნულ იქმნას დროებით სახელმწიფო ქაღალდების დამმზადებელ ექსპედიციის კონტროლიორის თანამდებობაზე გური დავითის ძე კანდელაკი ამა წლის 26 ივნისიდან.

№ 201.

დანიშნულ იქმნას სახელმწიფო ქაღალდების დამმზადებელ ექსპედიციის მოლარის თანაშემწე გიორგი ივანეს ს ჯაფარიძე ამავე ექსპედიციის მოანგარიშეთ ამა წლის 1 ივლისიდან.

№ 202.

დანიშნულ იქმნას სახელმწიფო ქაღალდების ექსპედიციის მოანგარიშე იოსებ დიმიტრის ძე ავალიშვილი ამავე ექსპედიციის ბუხჰალტრის თანაშემწეთ ამა წლის 1 ივნისიდან.

№ 203.

დანიშნულ იქმნას სახელმწიფო ქაღალდების დამმზადებელ ექსპედიციის ბუხჰალტრის თანაშემწე შალვა ვლადიმერის ძე ანთაძე ამავე ექსპედიციის ბუხჰალტრად ამა წლის 1 ივლისიდან.

№ 204.

განთავისუფლებულია თანამდებობიდან და სრულიად სამსახურიდან სამაგო ნაწილის საქმის მწარმოებელი კონსტანტინე ივანეს ძე ქიმერიძე სახელმწიფო კონტროლის რევიზორის თანაშემწედ დანიშნის გამო ამა წლის 28 ივნისიდან.

№ 205.

დანიშნულ იქმნა ქუთაისის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი კონსტანტინე რამაზის ძე გოცირიძე ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს რწმენებულად ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკში ამა 1920 წლის 1 ივლისიდან.

ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრის მოვალეობის აღმსრულებელი
ხ. ავალიანი.

—

გზათა დეპარტამენტის დირექტორისა.

31 ივნისი, 1920 წ. № 63.

განთავისუფლებულია საქმიოთ სამი კვირით ფოთის ნავსადგურის გემთა შემკეთებელ სახელოსნოს მამგე ინჟენერი გოკელოვი, 1 ივნისიდან ამა წლისა.

გზათა დეპარტამეტის დირექტორი
ჰოვინაძე.

—

ფოსტა-ტელეგრაფის ოლქის უფროსისა.

21 მაისი, 1920 წ. № 28.

გამწესებულნი არიან: მოქალაქე მარიამ ადაიაშვილი ფოსტა-ტელე. მოხელეთ მე-6 ხარ. ტფილისის ტელეფონის ქსელზე; ყოფილი მოხელე ტარიელ კოპალეიშვილი შუასურების განყოფილების უფროსათ; ყოფილი მოხელე გრიგოლ მეჟანაძე მეხუთე ხარისხის მოხელეთ გავრაში; ყოფილი ფოსტალიონები: ბენიამინ ყენია, პოლიკარპე მოწყობილიშპირიდონ ღუღუნაშვილი, ვლადიმერ ნატროაშვილი, გიორგი ცერცვაძე და იოსტინე მაჭარაძე მეორე კატეგორიის ფოსტალიონებათ: ყენია, მოწყობილი და დუღუნაშვილი—გაგრაში, ნატროაშვილი—მანგლისში, ცერცვაძე—ტფილისში, მაჭარაძე—ჯვარში; კოპალეიშვილი, მეჟანაძე და მაჭარაძე 1 ივნისიდან, დანარჩენნი 21 მაისიდან 1920 წ.

დანიშნული არიან: პირველი კატეგორიის ფოსტალიონი რკინის გზის განყოფილებისა ალექსი ნონიაშვილი მეორე კატეგორიის ფოსტალიონათ; მეხუთე ხარ. მოხელე სილნაღის ილია ხულორდავა ჯგალის განყოფილების უფროსათ; მეექვსე ხარისხის მოხელე ტფილისის ცენტრალურ ტელეგრაფისა გრიგოლ ანანიევი მეხუთე ხარისხის მოხელეთ სამმართველოში; შუასურების განყოფილების უფროსი ვლადიმერ ქართველიშვილი და ფოსტალიონები: ჭიათურის სიმონ ფიცხელია და ტფილისის ფოსტის მიხეილ ხოროავა ფ/ტ. მოხელეებათ: ქართველიშვილი მეხუთე ხარისხით—ოზურგეთში, ფიცხელია მეექვსე ხარ. გურჯაანში, ხოროავა მეექვსე ხარ. ლაგოდეხში. ნონიაშვილი, ფიცხელია და ხოროავა 21 მაისიდან და ხულორდავა, ანანიევი და ქართველიშვილი 1 ივნისიდან 1920 წ.

გადაყვანილნი არიან: ფ/ტ. მოხელეები: ტყიბულის მეხუთე ხარ. დიმიტრი ჯიშკარიანი, გუდაუთის მესამე ხარ. ანტონ სედაკი, გურჯაანის მეხუთე ხარ. ივანე მცხვეთარიძე და ფოსტალიონები: ტფილისის ფოსტის გიორგი მაჩხანელი, ოზურგეთის პეტრე კერკაძე იმავე წოდებით: ჯიშკარიანი—ჭუთაისში, სედაკი—გაგრაში, მცხვეთარიძე—თელავში, მაჩხანელი—მცხეთაში, კერკაძე—ნატანებში; მცხვეთარიძე 1 ივნისიდან, სედაკი, ჯიშკარიანი, მაჩხანელი და კერკაძე 21 მაისიდან 1920 წლისა, ხოლო ჯიშკარიანი და მცხვეთარიძე თანახმად თხოვნებისა.

დათხოვნილნი არიან სამსახურიდან: ფ/ტ. მოხელეები: გაგრის კანტორისა მესამე ხარისხის ექვთიმე კუშია, მეოთხე ხარ. იაკობ ბოგოსლოვსკი, მეხუთე ხარ. სიმონ ლუკოვსკი და სერგო კაშენკო, ტფილისის ტელეფონის ქსელის ნინო დავითაძე და ფოსტალიონები გაგრის კანტორისა გიორგი კატრიშვილი, ათასანე კრივორუჩკინი და ლეონტი მეშკოვი: დუმბაძე 21 მაისიდან, დანარჩენნი 26 მაისიდან თანახმად თხოვნისა.

განმარტებულია: მოსამსახურეთა სიგიდან მანგლისის ფოსტალიონი გრიგოლ ხობობოგი 16 მაისიდან 1920 წ.

სამმართველოს უფროსი **შგელაძე.**

—

მანგლისის უბნის მომრიგებელი მოსამართლისა.

№ 1.

მოქალაქე ელენე ივანეს ასული კობალაძე დანიშნულია მანგლისის უბნის სამომრიგებელო სასამართლოს მანქანაზე გადამწერის თანამდებობაზე 6 ივლისიდან 1919 წ.

№ 2.

დ. მანგლისის მოქალაქე სერგი გეორგის ძე მარქაროვი დანიშნულ იქნა თარჯიმნის ადგილზე ამავე სასამართლოში 1 აგვისტოდან 1919 წ.

№ 3.

მღვდელი ვასილ სოლომონის ძე კოპტონაშვილი დაინიშნა მდივნის ადგილზე ამავე სამომრიგებლო სასამართლოში 20 აგვისტოდან 1919 წ.

№ 4.

დ. მანგლისის მოქალაქე ალექსი ილიას ძე შეჯენკო მიღებულ იქნა ამავე სასამართლოს გზირის ადგილზე 20 სექტემბრიდან 1919 წ.

№ 5.

დ. მანგლისის მოქალაქე მიხეილ ივანეს ძე იაროვი მიღებულია ამავე სასამართლოს მსაბურად 6 მკათათვიდან 1919 წ.

№ 6.

მოქალაქე პავლე ვასილის ძე კოპტონაშვილი დანიშნული იქნა ამავე სასამართლოს მოხელედ 1 ოქტომბრიდან 1919 წ.

№ 7.

მანქანაზე გადამწერი ამავე სასამართლოსი ელენე ივანეს ასული კობალაძე, თანახმად თვისი თხოვნისა განთავისუფლებულია თანამდებობიდან 13 იანვრიდან 1920 წ.

№ 8.

თარჯიმანი ამავე სასამართლოსი სერგი გიორგის ძე მარქაროვი თარჯიმნის შტატის დაზუსტის გამო, 15 იანვრიდან 1920 წ. დათხოვნილ იქნა თანამდებობიდან და ამა რიცხვიდან დანიშნულ იქნა ამავე სასამართლოს მოხელის თავისუფალ ადგილზე.

№ 9.

დ. მანგლისის მოქალაქე ლეონიდე ვასილის ძე მარჩენკო დანიშნულ იქნა ამავე სასამართლოს გადამწერის ადგილზე 1 თებერვლიდან 1920 წ.

№ 10.

მოხელე ამავე სასამართლოსი პავლე ვასილის ძე კოპტონაშვილი, როგორც გვარდიელი, სამხედრო სამინისტროში გაწვევის გამო, განთავისუფლებულია თანამდებობიდან 10 მაისიდან 1920 წ. ადგილის შენახვით.

№11

მოხელე ამავე სასამართლოსი სერგო გეორგის ძე მარქაროვი, თანახმად თვისი თხოვნისა, განთავისუფლებულ იქნა თანამდებობიდან 18 მაისიდან 1920წ.

№ 12

ქ. თბილისის მოქალაქე მერი არტემის ასული კალამკაროვისა მიღებულ იქნა მანქანაზე გადამწერის თანამდებობაზე 1 ივნისიდან 1920წ.

მომრიგებელი მოსამართლე
ვლ. რაქაშვილი.

—

ბანძის უბნის მომრიგებელი მოსამართლისა.

1 თებერვალი, 1920 წ., № 14.

დათხოვნილია თანამდებობიდან და სრულიად სამსახურიდან ბანძის სამომრიგებლო უბნის სასამართლოს თარჯიმანი იოსებ დავითის ძე ფალავა თარჯიმნის შტატის გაუქმების გამო.

მომრიგებელი მოსამართლე ვ. **ახათიანი.**

—

კორბოულის უბნის მომრიგებელ მოსამართლისა.

დათხოვნილია თანახმად მისივე თხოვნისა კორბოულის მომრიგებელ სასამართლოს გზირი და ჰ. ბარშილაძე დანიშნულია მის ადგილზე, მანქანაზე გადამწერი გრიგოლ ჩესარიონის ძე მაჭარაშვილი, ხოლო მანქანაზე გადამწერათ ინიშნება ყოფილი თარჯიმანი, პიტერი ივანეს ძე მულაძე, თანახმათ მისი თხოვნისა.

მომრიგებელი მოსამართლე
ალ. ყავლაშვილი.

—

სამეგრელოს ოლქის სენაკის უბნის მომრიგებელ მოსამართლისა.

28 აპრილი, 1920 წ., № 1596.

დათხოვნილია სრულიად სამსახურიდან თანახმად თვისი თხოვნისა, სენაკის უბნის სამომრიგებლო სასამართლოს კანცელარიის გადამწერი ელენე ივანე სანოვის ასული ამა 27 აპრილიდან.

№ 984.

დათხოვნილია: სრულიად სამსახურიდან შტატის შემცირების გამო სამეგრელოს ოლქის, სენაკის უბნის მომრიგებელ მოსამართლის თარჯიმანი ოიმი დათას ძე გვასალია პირველ ამა მარტიდან, ხელიკვიდაციო ფულის მიცემით.

№ 1597.

დანიშნულ სენაკის უბნის მომრიგებელ მოსამართლის კანცელარიაში გადამწერათ მოქალაქე მარიამ გერასიმე გვათუა ასული ამა წლის პირველ მაისიდან.

მოსამართლე **გვათუა.**

არა ოფიციალური განყოფილება

ბათომი

ადმინისტრაციის მოწყობა ბათომში.

მთავრობის მიერ დანიშნული ბათომის და მისი ოლქის გენერალ-გუბერნატორის ჯალდებულობის დროებით აღმასრულებლად, ტფილისის ქალაქის მოურავმა ვ. ჩხიკვიშვილმა, საქართ. დეპ- საიქნა. თანამშრომელთად საუბრის დროს, აღნიშნა ბათომის და მისი ოლქის, ადმინისტრატიულად და სახელმწიფოებრივ მოწყობის უახლესი მიზნები. ბათომის და მისი ოლქის საქართველოზე გადმოცემის შემდეგ, საქართველოს მთავრობის წინ დგება მიზანი შეიდგეს ოლქში ადმინისტრატიულ და სახელმწიფოებრივ აღმშენელობას. რვაოლიციის პირველ დღიდანვე ბათომი იყო ის მოედანი, სადაც თავისუფლად მოქმედებენ უცხოელი შეიარაღებული ძალები. ბუნებრივია, რომ უკანასკნელ დროს ბათომში ინგლისის ხელისუფლების დროს, უკანასკნელი დებულობდა ზომებს ადმინისტრატიულ ხასიათის შესაქმნელად, მაგრამ ისინი მოკლებულნი იყვნენ საშუალებას დაეწყოთ ბათომის ოლქში სახელმწიფოებრივი შენებლობა. უკანასკნელ დრომდი ბათომი და მისი ოლქი იყო ბუდე, სადაც თავს იყრიდენ საქართველოს რესპუბლიკის და მისი დემოკრატიული წყობილების მტრები. ეს მტრები ყოველ ზომებს ღებულობდენ, რომ ჩამოეგდოთ სა-

ქართველის სხეულიდან მისი ღვიძლი ძმები შესულმანი—ქართველები. სწორედ ამ ანტი საზოგადოებრივ ელემენტების წყალობით ბათომში სპეკულაციამ საშინლად იზრდება, თუმცა ბათომი ბევრ შემთხვევაში საყურადღებო პირობებში იმყოფებოდა. სწორედ ამ მოსაზრებიდან გამომდინარეა საქართველოს მთავრობა და ბათომში და მის ოლქში სამხედრო წესები გამოცხადა და ბათომის საგენერალო გუბერნატორო დაიწყეს. ბათომის ოლქის ჩვენ ჯარების მიერ დაკავებისთანავე მესულმან ქართველებმა უნდა იგრძნონ, რომ ისინი მშობლიურ ოჯახში შევიდნენ, სადაც არ არის ღვიძლი შვილი და გერი, სადაც ყველა თანასწორია მიუხედავად სარწმუნოებისა. ეს შეშობლიური გრძნობა საქართველოსთან და მის დემოკრატიულ წყობილებასთან ქართველ მესულმანებში უნდა გაძლიერდეს მას შემდეგ, რაც ბათომში გატარებული იქნება საჭირო რეფორმები, და როცა ბათომის ოლქში რჩოლიაციის ყველა მონაპოვარი დამკვიდრდება. უპირველესად ყოველისა ყურადღება მიექცევა ოლქში ძლიერ და ელასტიურ ადმინისტრატიულ აპარატის შექმნას, ქალაქში მილიციის მოწყობასთან ერთად, ძალა უფლება მოცულ ოლქშიაც მოეწყობა. შესაძლებელია რასაკვირველია, რომ ჩვენი ადმინისტრატიული და სახელმწიფოებრივი მუშაობა ხარვეზი ელემენტების მხრივ დაბრკოლებას შეხვდეს და ასეთ დაბრკოლებას შეუქმნან მხოლოდ მოსული ელემენტები, რომლებიც არაფრით არ არიან დაკავშირებული ბათომის ოლქთან. ასეთ ანტისახელმწიფოებრივ ელემენტებიდან ოლქი უნდა გაწმინდოს რა თქმა უნდა ლაპარაკიც არ შეიძლება ბათომის ოლქიდან უცხოელთა მასიურად გადასახლების შესახებ, მაგრამ საქართველოს მჭირებს არ ექნებათ ადგილი ბათომში და მის ოლქში. კატეგორიულად ვაცხადებ, რომ ანტისახელმწიფოებრივი მუშაობა არ იქნება დაშვებული. ჩვენი უახლესი მუშაობა იქნება: ადმინისტრატიულ და სახელმწიფოებრივ მუშაობისათვის საფუძვლის ჩაყრა. ჭალაჭის თვითმართველობის მუშაობაზე, რა თქმა უნდა, მოწვეული იქნება ადგილობრივი საზოგადოებრივი ძალები.

მასალება დამფუძნებელ კრების პრეზიდიუმს.

მთელი ბათომის ქართველი საზოგადოება განურჩევლად მდგომარეობისა, მამართულობა და სარწმუნოებისა აღფრთოვანებული გამხდება დიდებულ დღესასწაულისათვის, არჩეულია საგანგები კომისია. ოლქში უკვე გავიდა ხმა, რომ ევროპის სახელმწიფოებმა გადასწყვიტეს მთელი ოლქი და ქალაქი დაუყოვნებლივ გადასცეს საქართველოსო. სედიმალეთის ბანკში დიდი შიშია და ცდილობენ დანაშაულის მოწანების და მორიგებას.

დამფუძნ. კრების წევრი ნოშლაძე, ფირცხალავა, საყვარელიძე, ვეშაპელი, გობეჩია, ჰაიდარ აბაშიძე და ვლასა მგელაძე.

საბჭოთა რუსეთში

(„კან“-ს ცნობები).

ჩიჩერინის მუქარა ავსტრიის მთავრობას.

საბჭოთა რუსეთის გარეშე საქმეთა კომისარმა ჩიჩერინმა შემდეგი მუქარის ნოტა გაუგზავნა ავსტრიის მთავრობას: „სარწმუნო წყაროებიდან ვიცი, რომ ავსტრიიდან გრძელდება პოლშაში იარაღისა და ომიწიციის გზავნა. ამისათვის საბჭოთა მთავრობა იძულებული იქნება, საშუალებაროც, მიმართოს რაკისამე, შეწირეულები იქნება ავრეთვე, საკითხის გამორკვევამდე ავსტრიელ ტყვეების საშოშლოში გამოგზავნა.

ქემალ-ფაშას წარმომადგენლობა საბჭოთა რუსეთში.

მოსკოვში ჩავიდნენ ცნობილი „ქემალისტების“ ხალილ-ფაშა, ფუადი და ჯემალ-ფაშა. პირველ ორს დავალებული აქვს ოფიციალური წარმომადგენლობა ანატოლიის მთავრობის მიერ საბჭოთა რუსეთში.

კრედიტორების კონფერენცია.

გარეშე საქ. კომისარმა მიიღო ცნობა, რომ ახლო მომავალში პარიჟში შესდგება საერთაშორისო კონფერენცია რუსეთის კრედიტორების. კონფერენციის უმთავრესი მიზანი იქნება პრაქტიკული ზომების შემუშავება რუსეთის უცხოელ კრედიტების ინტერესების დაცვისა.

ამერიკა და საბჭოთა რუსეთი.

როგორც ლატვიის ტელეგრაფის სააგენტოს ატყობინებენ ვაშინგტონიდან, ამერიკის სავაჭრო მისიას, რომელიც პეტროგრადში მიემგზავრებოდა, უარი ეთქვა პასპორტების მიცემაზე.

ვინ არის კრასინი?

ყოველ კვირეული ჟურნალი „ნისთი“ კრასინის ლიად-ჯურჯუთან მოლაპარაკების გამო სწერს კრასინის შესახებ: „ლენინასა და ტროკის შემდეგ კრასინი დიდი პიროვნებაა რუსეთში და შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, ის აქ მოსული იყოს მხოლოდ სავაჭრო ურთიერთობისა და კოოპერატიული საქმეების მოსაგვარებლად.

კომჩელების დაპატიმრება.

კრასნოგოროდიდან ტაშენტში ჩამოიყვანეს დაპატიმრებული სამხედრო პირნი, რომლებიც მსახურობდენ გენ. ტოლსტოის ჯარში მათ შორის 1 გენერალია და ექვსი შტაბოფიცერი.

ალაშკის აღება.

სევასტოპოლი, 18 ივნ. მთავარსარდლის შტაბის მიერ ოფიციალურადაა გამოქვეყნებული: დღეს ჩვენმა ცხენოსანმა ჯარმა ძლიერი ბრძოლის შემდეგ ქ. ალუშტა აიღო.

წითლების დამარცხება.

პრეს ბიუროს ცნობებით, კახოვკის რაიონში გენ. კუტეპოვმა დიდი ზარალი მიაყენა წითლების მე-15 დივიზიას, რომელიც გაიქცა. ჩვენი ჯარი დაედევნა მას და მეორე დღეს შეხვდა. დიდი ბრძოლის შემდეგ ჩვენს მხარეზე გადმოვიდა მტრის ცხენოსანი რაზმი, შემდგარი დონის კაზაკებისაგან.

ბრძოლა სპეკულიაციასთან.

„გოლოს იუჯა“-ში ვრანგელის შემდეგი ბრძანებაა დაბეჭდილი. „ყირიმში სპეკულიაცია თან და თან ძლიერდება: მე მესმის, ჩემი დიდი პასუხისგებლობა ხალხისა და ჯარის წინაშე, ამის გამო მე კატეგორიულად ვაცხადებ, რომ უსასტიკეს ზომებს მივიღებ, რომ ბოლო მოეღოს სპეკულიაციას. საზღვარგარეთის საქონლის შემოტანა ყირიმში უკვე შეწყვეტილია, რაც საგრძნობლად დასცემს ფასებს. ამასთანავე მე ვთხოვ დახმარებას მცხოვრებთ, რომელთაც უნდა გამოიჩინონ. მოქალაქეობრივი მხნეობა და ბოიკოტი გამოუცხადონ მოვაჭრეებს, რომლებიც სისტემატიურად და უმიზეზოთ ადიდებენ ფასებს.

უცხოეთი

სახელმწიფოებრივი განყოფილების ცნობები.

კონსტანტინე. ლიტვინოვმა ჟურნალისტებს შემდეგი განუცხადა: ბმვში, თითქოს, საბჭოთა მთავრობა ფიქრობდეს დაარსოს კონსულობა ანგარიშ გასაწორებელი პალატა მართალია, მაგრამ ჯერ ჯერობით მხოლოდ ეს ფიქრია, რომელიც ძლევ შორს არის განხორციელებისაგან.

პარიზი. ლიუსემბურგის სასახლის შენობაში გაიხსნა სურათაშორისო ეკონომის პარლამენტის პირველი კონფერენცია. განსახილველ საკითხთა შორის-უმთავრესი საკითხია ვენესილის კურსის მოწესრიგება. პარიზში მყოფმა ბრიტანელმა სავაჭრო პალატის ყოფილმა თავმჯდომარემ შეკერწსა შეიტანა პროექტი „მოკავშირეთა ბანკნოტის შექმნის შესახებ. ამ ბანკნოტს ექნება კანონიერი ძალა და გასაყიდი მოკავშირეთა ქვეყნებში.

პარიზი. სავაჭრო პალატის წარმომადგენლმა განაცხადა, რომ პარიზი სურსათით უზრუნველყოფილია 15 დღითო. საზოგადოებრივ მეშობის მინისტრმა პრესის წარმომადგენლებს განუცხადა: რკ. გზებზე ნახშირი ნორმალური მიმოსვლისათვის ეყმარებს. 17 დღეს და შემოკლებული მსვლელობისათვის კი 25 დღემო.

ლონდონი. გაზეთები იუწყებიან: ლიად ჯორჯი ფიქრობს ხალხთა ლიგის საბჭოში ინგლისის მხრივ წარმომადგენლობა თავის თავზე მიიღოსო. ამ გადაწყვეტილებას პრესა ხსნის, როგორც პირველ ნაბიჯს უმაღლესი საბჭოს გასაზებად, რომლის არსებობაც ლიად ჯორჯსა და სესილ ჩიჩჩინათ საზარალოთ, რადგანაც ივი ხალხთა ლიგის ავტორიტეტს გაძლიერებას ხელს უშლის.

პარიზი. ავიატორი როფე ევროპის ირგლის გაფრინდა. როფე ბერლინიდან გადაფრინდება ვარშავში, იქიდან მოსკოვში და კაკვითი ტფილისში.

ლონდონი. „ტაიმს“-ში იბეჭდება დიდი განცხადება საჰაერო რეისების ორგანიზაციის შესახებ. ეს აეროპლანები ისეთივე სისტემის არის, როგორც ჰაერსატლანები, რომელიც ატლანტიკის ზღვით, ავსტრალიაში გადაფრინდენ. საფოსტო სამგზავრო აპარატებზე არის ყველა საჭირო ნივთი: ფმავთული ტელეგრაფი, კაიუტები, საბარგო განყოფილება და პირის საბანები. აპარატი ზიდავს 11 მგზავრს 1½ ტონ. ბარგს. ტრიფი ლონდონ-პარიზი 12 გირ. სტერლინგის ლონდონ-პარიზი და უკანე 21 გირვანქა. თითეულ გირ. ბარგზე გადასასდია 1 შილინგი და 9 პენსი. ლონდონიდან ამარაი კვირაში ორჯერ გაფრინდება. საზღვარ გარეთ და ირგვლივ მგზავრობა შეთანხმებით იქნება. ძკირფასეულებას საგანგებოთ გადაიტანენ. ხდება დაზღვევაც.

ახალი ამბები

ევენირალური შტაბის ცნობით ქობულეთში ჩვენ ჯართან მიდიან ადგილობრივ მცხოვრებთა დელეგაციები და უცხადებენ საქართველოს მეგობრობას.

ყველა მიმართულებებზე სიწყნარეა.

ბაქოში სახიფათო ხა. ქალაქთა წარმომადგენლების ყრილობაზე მოისმინეს და მიიღეს ანგარიში ქალაქთა კავშირის საქმიანი სანიტარიო განყოფილების მოქმედების შესახებ. ამ ანგარიშში აღნიშნულია განზრახვა ცენტრალურ ბაქტეროლოგიურ ლაბორატორიის ბაქტერელოგიურ ინსტიტუტთა გადაკეთების შესახებ ქიმიურ განყოფილებად. მემდეგ შემოშვებულია გეგმა წამოეულობის სახეკი მასალისა და ხელსაწყოს შესყიდვის შესახებ. სულ განზრახულია 11 მილ. მან. საღორალ-საჭონლის შესყიდვა. ამავე დროს განზრახულია ქიმიურ-ფარმაცევტიულ ლაბორატორიის მოწყობა ქიმიურ პროდუქტების დასამზადებლად.

მიწოთ-მოქმედების სამინისტროს აგენტების საშუალებით ფართედ დაიყენებენ სამშეს წამლისათვის საჭირო მცენარეულობის შეკრებისა და მათი მოწმენების შესახებ.

ავიაციის კვირა. სამხედრო სამინისტრო აგვისტოს 2-ს მართავს ავიაციის კვირას. ამ კვირაში მოხდება აეროპლანებიდან ფრენა მთელ საქართველოს ტერიტორიაზე. მოაწყობენ სხვა და სხვა ლექციებს ავიაციის შესახებ და სხ. მთელი შემოსავალი საჰაერო ფლოტის განსავითარებლად გადადება. სამხედრო სამინისტრო აღიარებას, რომ საჰაერო ფლოტმა საქართველოს რესპუბლიკის დაცვაში უკვე საგრძნობი როლი ითამაშა, სახელდობრ ფოთლის ბიძის რაიონში საქართველოსა და აზერბეიჯანის ომის დროს. განზრახულია მთელი რიგი ზომებ ს მიღებისა რესპუბლიკაში საავიაციო საქმის განსავითარებლად. თვით მფრინავთა სადგურებს გაავლებენ ახალ ტერიტორიაზე. ერთი ასეთი სადგური ნავთლუღში უკვე არის.

შემდეგ ჰაერდროშების გაკეთება დასახულია: ახალციხეში, ახალქალაქის რაიონში და სხ.

ქართული სამუსიკო საზოგადოება. დღეს 2 ივლისს საღამოს 7 საათზედ, დანიშნულია ქართულ სამუსიკო საზოგადოების გამგეობის კრება. დღის წესრიგია: 1) ბათომის ფილიალზედ განყოფილების მოწყობის შესახებ, მოხსენება ილ. ლალიძისა. 2) საზეიმო თეატრის შესახებ, მოხსენება სამუსიკო კოლეგიისა. 3) მომდინარე საკითხები.

შეცდომის გასწორება:

გუშინდელ ცნობაში „სამინისტროების კანცელარიების რევიზიის შესახებ“ შეცდომით იყო დაბეჭდილი: ქალაქის საბჭოს მდივანი ხახანაშვილი დროებით მთავრობის საქმეების გამგეთ და მთავრობის თავმჯდომარის პირველ მდივნად დაინიშნაო. უნდა იყოს: ქალაქის საბჭოს მდივანი ხახანაშვილი დროებით მთავრობის საქმეების გამგისა და მთავრობის თავმჯდომარის პირველი მდივნის თანაშემწეთ არის დანიშნული.

სასურსათო ცხოვრება.

ხათმის მასალის მომარაგება.

სათმის მასალის განშანაწილებელმა კომიტეტმა წარმოებათათვის ქვანახშირის მომარაგებისა და გაწილების საქმე სასურსათო განყოფილებას გადასცა. მეფაბრიკეთა და მექარხნეთა საზოგადოება ნახშირს მოაწოდებს ნავთლუღში არსებულ წარმოებებს. სასურსათო განყოფილება კი ქალაქის რაიონში არსებულ წარმოებებს.

ფასება საქონელზე.

საჯარო-სამრეწველო პალატის ცნობების თანახმად ტფილისში შემდეგი ფასებია: ბარეციალი მატყლი ფიქრ.—2000 მან.—2500 მან. გაურეცხავი 1300 მან. ჯვარი—20—30 ათასი მან. ფუთი, ბამბა—2800 მან. ქაბეთის ღვინო—800—900 მან. ადგილობრივი პურის ბორაღი 1500 მან., სიმინდი—850—900 მან. ფქვილი რუსული 1500 მან. ადგილობრივი—1.700—1.800 მ. სიმინდის—1.200 მ. შაქარი რაფინადი—3.400 მან. ფხვნილი—3.200 მ. ბრინჯი მეორე ხარისხისა—3.400 მ. ფუთი, ღორი—800 მ. კარტოფილი—400 მან., კომბოსტო—200 მან. ფუთი გირვანქა ქრაქი—160—170 მან. ვადამწვარი ერბო—200—220 მან. ყველი—75—100 მან. 100 კვერცხი—700 მან.

გერმანელ მეცნიერთა თანაგრძნობა

გორის კატასტროფის გამო.

საქართველოს წარმომადგენელმა ბერლინში შემდეგი შინაარსის თანაგრძნობის წერილი მიიღო მაისის 17-ს გერმანელ მეცნიერთა ერთი ჯგუფისაგან:

მის აღმატებულებას ბ-ნ საქართველოს რესპუბლიკის ელჩს დ-რ ვლადიმერ აბმეტელაშვილს. ბერლინში.

თქვენო აღმატებულებავ ამ საშინელმა უბედურებამ, რომელიც მიმდინარე წლის თებერვლის 22—23 რიცხვებში თავს დასტყორცნია საქართველოს, მხურვალე თანაგრძნობა გამოიწვია ქართველი ერისადმი გერმანიის ხალხში. ჯულ მწუხარეთ მოვისმინეთ ჩვენის ცნობა, რომელიც ბერლინის ზედს თქვენდამი რწმუნებულ საელჩოს ატაშემ ბატონ. დოკტორმა კ. გამსახურდიამ მოკვაწვდინა საქართველოს ძველი კულტურული ქალაქის გორისა და ქართლის პროვინციის ბიწის ძვრით დაზარალების შესახებ.

სამწუხაროთ, ჩვენი ერის დღევანდელი მდგომარეობა ნებას არ გვაძლევს საქმითა მაშველი ხელი გაუწოდოთ საქართველოს ერს ამ უბედურ შემთხვევაში, როგორც ეს გერმანიამ მესხინის კატასტროფის დროს ჰქნა, მაგრამ ჩვენ ვისწრაფით ჩვენი გულის წუხილი და თანაგრძნობა გაუზიაროთ თქვენს აღმატებულებას.

თანაც ღრმად დარწმუნებული ვართ, რომ ქართველი ხალხი, მრავალ საუკუნეთა განმავლობაში ათასგვარ ჯვრის მაბახელი და გადმატანი, ახალ სულიერ ძალებს მოიკრეფს ამ ახალი ტანჯვისა და უბედურობის წიაღიდან და გაორკეცებული ენერგით განაგრძობს იმ კულტურულ და პოლიტიკურ აღმაშენებლობას, რომლის სახელოვანაც მრავალ საუკუნეთა განმავლობაში იბრძოდა და იღვწოდა ივი.

მიიღეთ თქვენო აღმატებულებავ ჩვენი თანაგრძნობა და პატივისცემა. ხელს აწერენ: პროფ. დიქტ. ჰენრიხ ბრანდენბურგი—რექტორი ლაიპციგის უნივერსიტეტისა—პროფ. დირექ. ვან. რიხზარდ შმიტი, პროფ. დოქტ. ალტაჰაუს, პროფ. დოქ. ვიქტორ ერენბერგი, პროფ. დოქ. მიტაისი, რაიხსგერისტსტატი მ. რაიხელტი, რაიხს-გერისტსტატი მ. რაიგენტოლი, ლანგგერიხტის პრეზიდენტი ფონ ვემერი, პროფ. დოქ. კ. ენგლეზდერი, პროფ. დოქტ. ჰ. გელიჩი, ბერლ. უნივ. პროფ. დოკ. მაგისტრი იოჰანეს ნოიჰუს, ქართული ენის დოცენტი ბერლინის უნივ. რიხარდ მეკელიანი,—ფილ. დოქ.—პროფ. დოქ. ფელიქს ჰოლმანი.

ფრანგი მწერალი ქალი ოდეტ-კენი თბილისში

26 ივნისს თელავს ეწვია საფრანგეთში ცნობილი მწერალი ქალი ოდეტ-კენი, რომელსაც თან ახლდა, როგორც თარჯიმანი, საქართველოს ლაშქრის ლეიტენანტი დავით იოსის ძე ჯავახიძე.

ქ-ნი ოდეტ-კენი ცნობილია როგორც საქართველოს მეგობარი და პარიზის პრესაში დიდ აგიტაციას ეწეოდა საქართველოს დამოუკიდებლობის სასარგებლოთ. მხოლოდ ეხლა გადაეწყვეტია პირადად გასცნობოდა ქართველ ხალხს, ამით ზნე-ჩვეულებას, წარსულს და აწმყოს, რომ ცალკე წიგნი გამოსცეს და ამით უფრო ფართოდ გააცნოს საფრანგეთის საზოგადოებას საქართველო. რასაკვირველია, ამ ქალს ჩვენი მთავრობა ფართო დახმარებას ეწევს და აღტაცებულია ივი მთავრობის განკარგულებით, რომ ყველგან ხელი შეუწყონ თავის მიზნების განსახორციელებლად.

ეს მაშაკი ქალი ჯერ სრულებით ახალგაზრდაა, იქნება ასე 22—25 წლისა, რუსული და არც ქართული ენები არ იცის, ლაპარაკობს ფრანგულად, სამაგიეროდ დავჯავშაძემ ზედმიწევნით იცის ფრანგული ენა და მისი საშუალებით იქნობს და ეწერს ყველა ცნობებს.

27 ივნისს ძვირფასი სტუმრები მივიდნენ ერმაში, სადაც გაიცვეს ერთის გამგეობის თავმჯდომარე ლ. ვახვახიშვილი, მისი ამხ. წ.

რამოშვილი და ერობის ერთ-ერთ განყ. გამგე ივ. პაატაშვილი. მწერალმა ქალმა როგ ბაიგო, რომ ეს უკანასკნელი პრესის თანამშრომელია, დიდად ესიამოვნა და სთხოვა მაცნო თელავის და მისი მიდამოების ღირს—შესანიშნავი ადგილები და მიეცა მათ შესახებ ისტორიული ცნობები, რაზედაც დიდის სიამოვნებით მიიღო თანხმობა.

ერობის გამგეობამ კვირა დილითვე დაუთმო ტკბილი წინანდლები წასასვლელად, ხოლო მეორე დღეს ცხენები და გამცილებლები თემებისაკენ გასამგზავრებლად.

წინანდლაში ამ ორმა სტუმარმა დაათვალიერეს საუფლისწულო მამულები და სასახლე, ის ეკლესია, სადაც ცნობილ „ვაი ჭკუისაგან“ ავტორმა გრიბოედოვმა ჯვარი დაწერა ჰაკუაძის ქალზე და ის მიდამო სადამაც 1854 წ. ამ ლეიტენანტ დავ. ჭავჭავაძის ბეგია ანნა ილიას ასული ლეკებმა ტყვედ წაიყვანეს.

კვირასვე 3 საათზე ოდეტ-კენ-ი და დავით ჭავჭავაძე ისევ თელავში დაბრუნდენ და აქ მათ ჟურნალისტე ივ. პაატაშვილთან ერთად დაათვალიერეს ქალაქის ყველა ღირს შესანიშნავი ადგილები.

ნადიკვრიდან რომ გაჰხედა უცხოელმა ქალმა საამურად აბიბინებულ კახეთის ველს და ბუმბერაზ კაკასიონის მთებს აღტაცებაში მოვიდა ეს ფრანგი პოეტი ქალი და იძახდა: ბეგონ ქვეყნები მინახავს, მაგრამ ასეთი კოხტა შემკული მხარე ოვითონდ შემხვედრიაო. შემდეგ დაათვალიერა თელავის უმთავრესი ციხე-გალავანი, სადაც მოთავსებულია ვაჟთა გიმნაზია, ყოფილი სასულიერო სასწავლებელი, მხოლოდ მე-18 საუკუნეში—სემინარია. აქ ინახულეს და ჩავიდენ გვემოკლედ გვიამბეს, სადაც მშვენიერი წყალი გადმოჩუხჩუხებს, შემდეგ დაწვრილებით გაეცნენ წვ. ნინოს ქალთა სასწავლებელს, ყოფილი ერეკლე მეორეს სასახლე, ოთახი, სადაც იროკლი გარდაიცვალა და სხვა ღირს შესანიშნავი ადგილები და ნაშთები. ყველას შესახებ ახსნა-განმარტებას აძლევდა ივ. პაატაშვილი თანახმად პროფესორ ალექ. ხახანაშვილის ისტ. გამოკვლევისა.

წვ. ნინოს სასწავლებელში სტუმრებმა დათვალიერეს აგრეთვე ქართველ მხატვარ გლ. სიდამონ-ერისთავისეული სურათები და დადად მოიწონეს.

საღამოთი ივ. პაატაშვილის სახლში მწერალი ქალი ილია ნასიამოვნები დარჩა მით, რომ მას შეძლება მიეცა პაატაშვილის დედის სახით ახლო გასცნობოდა ძველ ქართველ ქალს და ჩაეშუქნებას, მან დაწერილებით ჩაიწერა ლეჩაქ-ჩიბუხა-კოპის აღწერილობა და სხვა.

ამავე საღამოთი ძვირფასი სტუმრები ეწვივნენ ზეგითდან საკრებულოს, მხოლოდ მეორე დღეს 28 ივნისს გაემგზავრენ ალვანში, საიდანაც განაგრძობენ გზას ობლოსკენ, შემდეგ ველენ ფაშისაში და გადაიცილებიან მთებს და ჩავლენ ყახბეგში, ასეთი მარშრუტი ჰქონდათ შედგენილი ტფილისიდან პროფესორ შანიძის, ექვ. თაყაიშვილის და შ. ქარუმიძის მიერ.

გ—ელი.

გუშრის ერობაში

ერობის სავაკრო-სამრეწველო განყ. გახსნა ქ. ოზურგეთში მანუფაქტურისა და სხვა საქონლის საწყობი, სადაც საქონელი იყიდება შეღავათიან ფასებში ბაზართან შედარებით. კარგა ხანია მოქმედობენ ამგვარივე სავაკრო საწყობები ლანჩხუთში, ჩოხატაურში და ნატანებში-სარაიონო და ოზურგეთში-ცენტრალური.

— ერობის გამგეობამ ვერ სცნო შესაძლებლად პარკის შესყიდვა მიმდინარე სეზონზე, ამიტომ მან დაადგინა აღმოუჩინოს ყოველგვარი დახმარება კოოპერატივებს პარკის შეძენის საქმეში. ეს დადგენილება ეცნობა თემებს და მიეცა წინადადება ამის თანახმად მოქმედებისა.

— დიდი ვანის თემის გამგეობამ მოაწყო თავისი სათემო აფთიაქი.

— ერობის გამგეობის დადგენილების თანახმად ერობის ყველა დარგის მოსამსახურეებს (მათ შორის მასწავლებლებსა და მილიციას) ეძლევა ერობის აფთიაქიდან წამალი საერობო ექიმის რეცეპტით 25 პროც. დაკლებით ნახრიდან, უწინ ეძლეოდა 50 პროც. დაკლებით, მაგრამ ამ ბოლო დროს გამგეობამ ეს დადგენილება შესცვალა.

— საექიმო დახმარების საქმე მაზრაში თან და თან ფართოვდება, ერობა ყოველივე ღონეს ხმარობს გამოცდილი ექიმების მოსაწვევად. მაზრაში არსებულ 2-რე საექიმო პუნქტზე უკვე მუშაობენ გამოცდილი ექიმები. ოზურგეთის ცენტრალურ საავთმყოფოში მოწვეული იქნა პრივატ-დოცენტი ბირურგი კეჩეკი, ბირურგები მოწვეულ იქნა ივრეთვე სხვა საავთმყოფოებშიდაც.

— საფერშლო პუნქტებზე არსად აღარ მუშაობს ჯარის ფერშალი, ყველა პუნქტებზე არიან გამოცდილი მედიცინის ფერშლები.

— საკმაისერის უმ. დაწყ. სასწავლებლის მასწავლებლების შ. და ს. ყენიების მიერ ჩადენილ ინკუნდენტის (ჩხუბი და აყალ მაყალი სიმთვრალის დროს) გამო ერობის გამგეობამ, ჩასთვალა რა ეს ყოველად დაუშვებლათ და სასტიკათ დაგმო და მათი საქციელი წინადადება მისცა განათლების განყოფილებას, რათა ხსენებული ყენიები მომავალი სამოსწავლო წლიდან გადაყვანილი იქნან სხვა სასწავლებლებში.

— შემოქმედის თემის გამგეობა დიდი ხანია შეუდგა შემოქმედ-ოზურგეთ შუა კონკას გზის გაყვანის საქმის მოწყობას; უკვე შეძენილი აქვს ვიწრო ლიანდაგიანი რკინის გზა ამზადებენ შპალებს და სხვა. გამოკვლევა გზისა უკვე მოახდინა სამაზრო ერობის ტექნიკურმა განყოფილებამ. თემის საბჭომ დადგინა ამ საქმის სისრულეში მოსაყვანათ იღლოს ასი ათას მანეთიანი სესხი თემის შეძლებულ მცხოვრებთაგან, რომელი დადგენილებაც ერობის გამგეობამ დაამტკიცა იმ პირობით, რომ ფული შეტანილი უნდა იქნას ხაზინაში თემის მიმდინარე ანგარიშზე და იხარჯებოდეს თანახმად წინასწარ შედგენილ კონკის გზის ხარჯთ-აღრიცხვისა.

ერობის გამგეობამ ამ დღეებში დაურიგა როგორც ერობის, ისე სახელმწიფო დაწესებულებათა მოსამსახურეებს თავის საწყობიდან სიმინდი და სხვა ხორცსაკმაოვგე ძღიერ დაკლებულ ფასებში. ერობამ სიმინდი მისცა აგრეთვე მაზრის მასწავლებლებსა, მილიციას და ოზურგეთის ქალაქის მოსამსახურებსაც.

— თანახმად ოზურგეთის ქალაქის გამგეობის შემადგენლობისა, ერობის გამგეობამ გაადიდა ავტომობილით ნატანები-ოზურგეთში მიმოსვლის ფასი 20 მანეთით, ე. ი. დააწესა თითო მგზავრზე 150 მან.

— ერობის გამგეობა სისტემატიურ ნივთიერ დახმარებას უჩენს ქობულეთის კრაიონიდან გადმოხვეწილ ქართველ მაჰმადიანებს, რომლებიც შემოხიზნული არიან ოზურგეთში.

—ერობის გამგეობის დადგენილების თანახმად ყველა საექიმო პუნქტებთან (II-ია მაზრაში) უნდა გაიხსნას საერობო აფთიაქები; ჯერ-ჯერობით ასეთი აფთიაქები მაზრაში არსებობს 4., დანარჩენების მოწყობასაც შეუდგან საექიმო განყ.

— მიმდინარე სეზონზე ავ. ბახმაროზე ერობის ექიმთა და მეტერლოგიური სადგურის გამგეთ დაინიშნა ექ. ვლ. ცეცხლაძე.

ერობა ნიგოითის თემში, ამ თემის მცხოვრებთა თხოვნის თანახმად, აწყობს მოტარიან წისქვილს. წისქვილი უკვე შეძენილი იქნა ტფილისში და ამ დღეებში მოეწყობა დანიშნულ ადგილზე. წისქვილის მოწყობის ხარჯები დაახლოვებით ნახევარ მილიონ მანეთს უდრის.

— ერობის ტექნიკური განყოფილება უკვე შეუდგა მუშაობას მდ. სუფსაზე ნაგომარის ზეგით ხიდის ასაგებათ, ამ მიზნისთვის გამგეობამ ჯერ-ჯერობით გადასცდა ორასი თომი მანეთი.

— სასკოლო განყოფილებას დაევალა გამგეობის მიერ განკარგულების მოხდენა, რომ უმაღლეს დაწყებით სასწავლ. გამგეებმა პერიოდიულათ ადგილობრივ ერობის კასაში მათდამი რწმუნებულ სასწავლებლის სპეციალურ თანხიდან შემოსული ფული; მომავალ სამოსწავლო წლიდან ანც ერთს ისეთს სასწავლებელს არ მიეცემა ხვედრი ჯამაგირები, რომლებიდანაც არ იქნება ასეთი თანხები წარმოდგენილი.

— ამასთანავე ერობის გამგეობამ განკარგულება მოახდინა სასკოლო განყოფილების მამართ, რომ დაუყონებლივ იქნან მოგალეობიდან გადათვისუფლებულნი მღვდელი გამგენი სასწავლებლისა.

ხუხუნი

მესხეთი

1. ვახუშტის სიტყვით, პირველად მთელს მესხეთს ისე, როგორც დანარჩენ ჩვენ მიწა-წყალს, ეწოდებოდა საქართველო. მესხეთი იყოფება სამ სავამგეოდ.

მის ქვემო ნაწილს ეწოდებოდა შიდა-ქართლი (მცხეთა-არაგვიდამ ფანავრამდე), ხოლო ზემოს—ზემო ქართლი.

ქართლს შეადგენდა სამცხე, გურია, ლიგანი, შავშეთი, არტანუჯი, ფანასკერტი, ოლთისი და ტაო ანუ ტაოსკარი.

მეორე, სამგამეოდ ითვლებოდა ჯავახეთი, რომელსაც შეადგენდენ ჯავახეთი, არტანი (არდაგანი), ერუშეთი, კოლა და მტკვრის აღმოსავლეთი.

მესამე ერთეულს წარმოადგენდა კლარჯეთი, რომელსაც შეადგენდენ თორთომი, ხახული, ისპირი, ფოარზა და ჭანეთი.

ყველა ეს ადგილები, გარდა ჭანეთისა, მთლიანად მტკვრისა და ჭოროხის ხეობებში. მაგრამ იყო დრო, მაგ. მერვე—მეათე საუკუნეში, როდესაც ჩვენი მეფეები ბიზანტიის იმპერატორებს ეკალღებოდნენ—არაზრუმიც ჩვენიაო.

ჭანეთს ანუ ლაზისტანს დღეს უკვარავს ვიწრო ზოლი ჭანეთის მთასა და შავ ზღვას შორის ტრაპიზონამდე, მაგრამ ჭანთა მფლობელობა უწევდა მდინ. ღალისამდე (ჭანურ-მეგრული ღალის ურიის ქართულს ღელესი, ღელის ხევი, მდინარე).

შესხი, იმერი, ქართველი და კახი ძველი დროითგანვე ასე დაუხასიათებია ერის დაკვირვებას:

„პირველ თქმულია ძველთაგან
სიდარბაისლე მესხისა;
ზრდილნი არიან იმერნი,
მტერთა შიმცემი რისხვისა;
ჰუროდობა და ვაჭრობა
ქართლელს არ ეზრახისა;
ომი და ლხინი კახისა
მოსაწონია კაცისა“

ესენი თავიანთ განსაკუთრებულ თვისებით ერთი მეორეს შეავსებდნენ, ამშვენებდნენ. ერთად, ძმურად მოღვაწეობდნენ მშვიდობიანობასა და ბრძოლა—ომის დროსაც საერთო საქმეს ყოველი კუთხის ქართველი საღმთო შორით, თავდაუზოგველად ეტანებოდა. ავერ სამეფო დროზე გაშალეს.

„მეკარნა დიდუბეს ლაშქარი:
კახი ფარ-შუბით, თუში ხმლით,
ფშავ-ხევსურს ჭიშენის ამჯარი,
მკლავთ ძლიერით ქართლელი,
ვით ცხინ-ბურჯი მაგარი,
ოსი ფეხ-მარდი, მთიული,
ბრძოლაში შეუპოვარი,
მესხი სწრაფითი ცხენოსი,
გმირი იმერი ზრდილობით,
და მშვილდოსნობით აფხაზი,
გურულ-სვან მეგრი მკვრცხლობით...

უკუღმა ტრიალი იწყო მონგოლების შემოსევის დროიდამე. საქართველოს მტრების წაქეზებით გაბედნენ მესხეთის ათაბაგები. თავიანთ-თვის ცალკე სამთავროლიც შემოიღეს (შეჭა-ალბუღას კანონები). „მეფე“ მზეჭაბუკმა (+1516 წ.) ანტიოქიის პატრიარქს დროთოფოსს სათავაოს სამღვდელოებაც გამოაყოფინა მცხეთის საკათალიკოსოდამ, და დაუმორჩილა აწყურის სამიტროპოლიტოს რაი დღე, ათაბაგები უფსკრულისკენ მიაქანებდნენ თვითონ სათაბაგოს. 1626 წელსაწადი შეიქმნა საბედისწეროდ: უარყოფილ იქმნა ქრისტიანობა და მასთან ერთად მამა-პაპათა მიერ შეძენილი და დახოგვილი საქრისტიანო კულტურა. ყველანი გამაჰმადიანდნენ. ეპისკოპოსები განდევნეს. წეროვნები მოსპეს. სალოცავები შეიძულეს. საყდრები დაავლეს ან მიზეთებად გადააკეთეს. რის შემუსრაც ვერ მოახერხეს, დასტოვეს ვერანად... მრავალი მათგანი (თითქმის ნახევარ მილიონ ნამდე) აიყარა და გადასახლდა ბრუსას, სამსუნს და სხ. ასე მოგვწყდნენ ეს ერთ-სისხლ და ერთ-ხორც ძმანები, ჩვენთან ერთად ერთ ენაზე მოლაპარაკე ქართველები, დიდებულ წინაპრების შვილები.

მაგრამ ჩვენი სატრფიალო მესხეთი არ განწირულა. დაცემას აღდგომაც მოსდევს, სიკვდილი სიცოცხლესაც ჰშობს. აგრე ბალან-დება, მაგ., საარაკო ფრინველი ფინიქსი: იწვის, რომ კვლავ აღორძინდეს.

ჭირნახულმა მესხეთმა საკმაოდ დაისვენა, და დასვენებული ორკეცე ძალით შეუდგება თვის ამოსვლას, რაც დააკლდა ამ 300 წლის განმავლობაში. შეუძლებელიაო, ამბობს ერის სიბრძნე, დამშრალი რუ ისევ არ ამბაურდესო. შეუძლებელია, რომ მესხებმაც დაივიწყონ თავიანთი ფრიად ნაყოფიერი წარსული, თავიანთ მამა-პაპათა ბრწყინვალე მესხეთი, სამცხე-ჯალაღეთ ჭანეთი, ე. ი. აკვანი საქართველოს დედაბისა, უძვირფასესი სეკალი ქართველ შეფე-კურატპალატების გვირგვინში. მესხეთი ქართველობისთვის ის არის,—წინსვლა-განვითარების საქმეში,—რაც საბერძნეთი კაცობრიობისათვის.

ფრონტისათვის

ფრონტის დამხმარე მთავარი კომიტეტის ფულითა და ნივთებით შემოწირულებათა ანგარიში.

ივანე გოგიაშვილი 30 მ., ს. რუმბაძე, სამეულ გერმანისაგან და ნაკოლოულის 1 რუს. პირვ. დაწყ. სკ. მოწოფ. თითომ 500 მან., „ახო“ ვაჩნაძე, ელისაბედ ჩიჩუასაგან, ნაგავოვისაგან თითომ 100 მან., მე-7 უბ. კომ. ჩიქვანისაგან შეკრებილი 4,900 მ., ალ. ჩხეიძისაგან, ტერ-ტეროვისაგან და ნოვაკისაგან უსინათლოთა სასწავ. მოწოფ. თითომ 50 მ., უცნობისაგან 11 მ. 50 კაპ., ელენე დიასამიძისაგან, ამხანაგ „ტივოლისაგან“ იაკობ ავალიშვილისაგან, მ. ი. დედუხანოვისაგან, ნ. ჩივოვიძისაგან, მოლა იზარბაევისაგან, მოლა ოსმან მოლა ნასიბეგოვისაგან, ოსმან ალი ადელაოვისაგან, მოლა მახმედ ალი ჰუმაროვისაგან, მოლა აჯი კორბანოვისაგან, ჭარიმ ბეკ მურსაკულოვისაგან, მ. ოვჩიევისაგან, საატლო სოფლისაგან, კამიმდოს სოფლისაგან თითომ 1000 მან., ამ. ბოსტოლანაშვილისაგან, ი. ნ. არგუთინსკი-დოლგორუკოვისაგან პრ. ჯუღელისაგან შემწირველი ლტოლვილ ბერძენთაგან ნატანებში თითომ 5,000 მან., მ. თოიძისაგან ქდა გიორგი გვახვაისაგან თითომ 2000 მან., პირვ. ქართ. კლუბში ხელზე მოსამსხ. 4432 მან., ელენე მიქელაძისაგან შემოსული „უწიოში“ 32000 მ., მეორე ქართ. კლუბში გამართულ საღამ. 23189 მ., ბუფეტის შემოსავალი 3090 მან., ჩრდილოეთის და მაზ. საზოგ. 5000 მ., ქართველ ქალთა საზ. მიერ მოწყ. კაბარ. 27783 მან., გადასახადთა სამმართვ. მოსამსხ. 2240 მ., მეფეტისაგან 10 მ., სატრნისაგან 159 მ., სკლიარსკისაგან 20 მან., დანილოვისაგან 10 მ., პერუნოვისაგან 20 მ., გრიგორიანცისაგან 15 მ. ბაქრაძისაგან, ბადავოვისაგან, ფარკვანძისაგან, გრიგორიანისაგან თითომ 50 მ., ბაკუევისაგან, ვორობიოვისაგან თითომ 20 მ., არაქელოვისაგან 70 მ., სარქისოვისაგან 30 მ., ს. ნ. ბიზოვისაგან ალი კურბან ოღლისაგან, კარხანაძ იავაზ ალი ოღლისაგან, აბდულა ბაქირ ოღლისაგან, მამედ გულ ახმედოვისაგან, ალი გეიზ ოღლისაგან, ალი ხარვარ ოღლისაგან, მამედ ქაგიმაძ ოღლისაგან თითომ 500 მ., პოგრებეცკისაგან, ა. ი. სმოლენსკისაგან, ა. ე. ლევენშტეინისაგან, ბაბინ მამედ ოღლისაგან, იუნის ხარვარ ოღლისაგან, ვურუმ მოლა ისა ოღლისაგან, სოონ გუსეინ იუსიბ ოღლისაგან, ვოქტორ ავალიანისაგან თითომ 100 მ., გამიდ გულ ახმედ ოღლისაგან 300 მ., მახმედ აჯი ოღლისაგან და ალტი უმატ კულანფო ოღლისაგან თითომ 500 მან.

შეკრებილი ქ-ნ ავალიანისაგან: ა. ი. მილოვისაგან, №-საგან, შუგალლოს სოფ. თითომ 300 მ., საერთაშორისო კლუბში მოსიარულეთა შორის და ბუფეტიდან 45,850 მ., (ამ თანხაში 5000 მ. დონის ფულია), ქობრიონში მოსიარულეთა შორის და ბუფეტიდან 23259 მ., სახელმწიფო თეატრში შეკრებილი 5717 მ., შენდელეევისაგან 200 მ., ალიახოვისაგან, იმალოვისაგან თითომ 1000 მ., სულ 76626 მ., დოვრუშ ალავერდი ოღლისაგან ამეტერისაგან ვოტ. ამეტერერისაგან, ვოტ. ამეტერისაგან, ამდულა ბოლა შუსაგან თითომ 500 მან., ალექსანდრე იაკობისაგან 300 მ., ტომას ეინერისაგან, მახრამ ჭიაურიშისაგან, ბაშკიჩერის სახ., მამიშვილისაგან თითომ 100 მ., ალექსან. კოლონ. საზოგად. 9280 მან., მ. პოლოსროვისაგან 250 მ., ორმაშენის საზოგ. 2800 მ., ქიზილკილის საზოგ., აჯი იფის ნაბარ ოღლისაგან და შინდილიარისაგან თითომ 2000 მ., აკრატოვისაგან. ბებაკლის საზოგად., ანქვატის სოფ., რამბოტისაგან თითომ 200 მ., ბახჩალახის საზოგ. 700 მ., ტანუსის საზოგ., ქაშკატის სოფ. თითომ 600 მან., კარაბულახის საზ. 3000 მ., ლოდისანდარის სოფ. 557 მ., საფილოს სოფ. 450 მ., კარაკალინის საზოგ., 181 მ., კოლაშენის სოფ. 393 მ., მიჯის სოფ. 78 მან., ედუარდი კრომერისაგან 2774 მან. 50 კ.

გორის ხალხური ბანკის გვარდიის შეკრებიდან: გორში ფრონტის დღეს 29—30 მაისს შეკრებილი 6.526 მ. 10 კ., მეჯვრისხევის რწმუნებულისაგან შეგროვილი 8.953 მ. 90 კ., გორში და ცხინვალში წარმოდგენებიდან შემოსული 29.150 მ., შტაბის მოგერებს შორის შეკრებილი 859 მ. 50 კ., ტფილისის მაზრის მილიციის უფროსისაგან 6.129 მ. 6 კ., (სხვა და სხვა პირთა შემოწირული), ცხინვალის ქალაქის გამგეობისაგან 48.500 მ., ფაზისუთის სახალხო სათეატრისაგან 12.754 მ. 63 კ., გაგრის 3 მათაღიორის შტაბისაგან 6.237 მ., ღანან-ჭავანის თემის დამხმარე კომიტეტისაგან 1.296 მ.

სამგორაყანის სამაზრო ერობის გამგეობისაგან სანუკრები 2 ფ. 2 ვირ., ახალ-სენაკის მოქალაქეთაგან სხვა და სხვა სანუკრები—13.827 მანეთისა. ჩოხატაურის რაიონის კოოპერატივთა კავშირის „მწათობისაგან“ სანუკრები 12.659 მ. 40 კ., ჩოხატაურის რაი-

ონის სახალხო გვარდიის შტაბის წევრებისაგან სხვა და სხვა საჩუქრები: დაჭილი თუთუნი 25 და ერთი მეოთხედი გირ., ჩაჩა თუთუნი 11 ც., პაპიროსის ქაღალდი 547 ც., გაკეთებული პაპიროსი 4 პაჭ., ასანთი 40 ც., სპირტი 24 ნაკეცი, ფანჯარი 170 ც., მუშტუქი 12 ც., ყავა მერვედი გირ., ფოსტის ქაღალდი 307 ც., კონვერტი 291 ც., საწერი ქაღალდი 1 დასტა, სარკე 39 ც., სავარცხელი 4 ც., ნემსი 1 ჰ., წუთა 3 წყვილი, ცხვირსახოცები 51 ც., ძაფი 68 ც., ქინძისთავი 12 დიუჟ., ჩოქი 1 ც., პირსახოცი 4 ც., წიგნი 1 ც., რვეული 1 ც., კრემი 4 ც., შიქსატუარი 2 ცალი, თხილი 2 ფ. 13 გ.

ნაძალადევის 4 სასწავლ. საჩუქრები პარკებში 13 ცალი.

მიხ. უმმაროვისაგან მოგროვილი თამბაქო 10 გირ.

ვაჭრობა-მრეწველობის პალატისაგან: თხილი 1 ტომარა.

პროფესიონალურ საბჭოსაგან: კონიაკი— 18 ბოთლი, სპონი 2 ფუთი.

ბორჩალოს სამაზრო ერობის პრეზიდიუმისაგან ყველი 31 ფუთი, ქარაქი 5 ფუთი, წინდები 70 წყვილი, ფიხსაფენი 1 წყვილი, ვალინკი 5 წყვილი, პირსახოცი 1 ცალი, ძაფი ნახევარი გირ.

ხარაგოულის ფრონტის დამხმარე კომიტეტისაგან: კვერცხი 29 ც., ყველი 12 წელა.

P.S. აქ მოყვანილი ანგარიში თუ შეცდომას შეიცავს კომიტეტი დაბეჯითებით სთხოვს ყველას დაუყონებლივ ეცნობოს ეს გარემოება მთავარ კომიტეტს (ტფილისის სასახლე).

წესდება

ზესტაფონის სახალხო უნივერსიტეტისა.

II. საზოგადოების შემადგენლობა.

§ 5. საზოგადოების წევრთა რიცხვი განუსაზღვრელია. წევრებათ შეიძლება იყვნენ: 1) დაწესებულებანი (სახელმწიფო და საზოგადოებრივი დაწესებულებანი), ერობანი, ქალაქები, დაბები, სოფლები, თემები, ამხანაგობანი და სხვა და 2) კერძო პირნი ორივე სქესისა განურჩევლად მათი ჩამომავლობისა, წოდებისა და სარწმუნოებისა, ხოლო სრულ წლოვანნი (არა ნაკლებ 18 წლისა).

§ 6. კერძო პირებს და დაწესებულებებს, რომელნიც მეხუთე პარაგრაფში არიან ჩამოთვლილნი წევრებად ღებულობს გამგეობა.

§ 7. საზოგადოების წევრებს საწევრო გადასახადი წელიწადში ათი მანეთი შეაქვთ ყოველ წლის არა უგვიანეს პირველი მარტისა. ვინც არ შეიტანს წევრად ადარ ითვლება და, ვინაიდანაც მოისურვებენ წევრობას, შეიქსენ პარაგრაფში აღნიშნულ წესით უნდა იყვნენ ხელ ეახლად მიღებულნი, ხოლო ახალი წევრები ადგენენ საწევრო გადასახადს წევრებად ჩარიცხვის თანავე.

შენიშვნა: ვინც ერთჯერ შეიტანს საწევრო გადასახადს არა ნაკლებ 250 მანეთისა, ისე შემდივ წევრად ჩაითვლება და ყოველ წლიური საწევრო გადასახადიდან განთავისუფლებული იქნება.

§ 8. საზოგადო კრებას შეუძლიან გამგეობის მოხსნებით გამორიცხოს საზოგადოებიდან ის წევრნი, რომელნიც თავის მოქმედებით საზოგადო ინტერესებს არღვევენ და ეწინააღმდეგებიან.

III. საზოგადოების საქმეთა მართვა.

§ 9. საზოგადოების ყველა საქმეებს განაგებენ: ა) საზოგადო კრება, ბ) გამგეობა და გ) სარევიზიო კომისია. საზოგადოების გამგეობა იმყოფება ქალაქ ზესტაფონში:

ა) საზოგადო კრება.

§ 10. საზოგადო კრების მოიწვევს გამგეობა წელიწადში ერთხელ მაინც. კრება კანონიერად ითვლება, თუ მოვიდა არა ნაკლებ წევრების რიცხვის $^1/_2$. ყოველი დაწესებულება, რომელიც წევრად ითვლება, გზავნის სხვადასხვა კრებაზე ერთ თავის წარმომადგენელს.

შენიშვნა: 1) გამგეობის დადგენილებით საზოგადო კრებაზე შეიძლება გარეშე პირნიც დაესწრონ; 2) გამგეობა მოვალეა მოიწვიოს საზოგადო კრება ორი კვირის განმავლობაში დღიდან განცხადებისა, თუ მოითხოვს სარევიზიო კომისია ან არა ნაკლებ 10 წევრისა. (შემდეგი იქნება).

განცხადებანი

დაიკარგა პასპორტი ანტონ იაკოფის ძე ბანეთიშვილის სახელზე, მიღებული, მარტყოფის სოფლის სამმართველოდან 1919 წ. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1627 3—3

დაიკარგა პასპორტი ალექსანდრე დავითის ძე ქუტატის სახელზე, მიღებული ამაღლების თემიდან (გურია) და სამხედრო ბეგარიდან თავისუფლების მოწმობა, მიღებული ტფ. სამხედრო აღრიცხვის უფროსისაგან, გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1666 3—3

დაიკარგა უვადო პასპორტი, მიღებული ტფ. პოლიციისტრის სამმართველოდან, და რევიზიტანციის მოწმობა, მიღებული ტფ. სამხედ. აღრიცხვის უფროსისაგან არტურ ოგანეზის-ძე ხაჩატუროვის სახელზე. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1684 3—3

დაიკარგა ალმასრულებელი ფურცელი № 488 ვლადიმერ გრიგოლის ძე დოდელის სახელზე, მიღებული ჰიდროტრის უბნის სასამართლოდან 1916 წ. 11 ივლისს—აკაკი წერეთლის ფერად მამწყლის დოდელიაზე გადასვლის შესახებ. გაუქმებილათ ჩაითვალოს. 1595 3—3

დაიკარგა ნამსახურობის წუსხა, კონსტანტინე სტეფანეს ძე მირონწმიდის სახელზე, მიღებული ტფ. ფოსტა-ტელეგრაფის სოლიქო სამმართველოდან 1918 წ. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1619 3—3

დაიკარგა მეტრიკული მოწმობა № 25275 ვლადიმერ ვასილის ძე რუსიას სახელზე, მიღებული სინოდალურ კონტორიდან. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1696 3—3

დაიკარგა ხელშეკრულობის ქაღალდი № 184, რომელიც დადებული იყო ტფ. ქალაქის თვითმართველობისა და სოფიო მიხეილის ასული ხავთასის შორის 1914 წ. 24 თებერვალს ექვსი წლის ვადით. ნაძალადევში (რუსთაველის ჭეშზე) სამსახლო ადგილის იჯარით აღების შესახებ. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1670 3—3

დაიკარგა სამბარგო ქვითანცია „დანჩხუთტფილისი„ №11729 გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1709 3—2

დაიკარგა პასპორტი №3817 კარაპეტ არუთინის ძე ტევონიანცის სახელზე, მიღებული ტფ. მილიციის უფროსის სამართველოდან, გაუქმებულად ჩაითვალოს. 1700 3—

დაიკარგა უვადო პასპორტი შალვა სერაპიონის ძე ჩიხლაძის სახელზე, მიღებული შორაპნის მაზრის უფროსის სამმართველოდან 1915 წ. გაუქმებულათ ჩაითვალოს 686 3—2

დაიკარგა ნასყიდობის, სიგელი იშვირის იშიე ოღლის სახელზე, დამტკიცებული ტფ. ოლქ. სასამართლოს უფროს ნოტარიუსისაგან 5 მაის 1915 წ. რესტრით 985. გაუქმებულათ ჩაითვალოს, 1701 3—2

დაიკარგა პირადობის მოწმობა სურათით ნიკ. ლუკ. ცერცვაძის სახელზე, მიღებული სახელმწიფო კონტროლიდან გაუქმებულად ჩაითვალოს. 1711 3—2

დაიკარგა დამფუძნებელი კრების წევრობის მოწმობა (სურათიანი), მიღებული დამფუძნებელი კრების საქვესტოროდან ქრისტინე გიორგის ასული შარაშიძის სახელზე და სახელმწიფო თეატრში შესასვლელი უფლებიე ბილეთი. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 660 3—3

დაიკარგა პასპორტი მართა გიორგის ასული თუასურის სახელზე, მიღებული ტყვიაურის ერობისაგან. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1686 3—3

დაიკარგა მოწმობა ღვინის საწყობის განსხნის № 1104 გიორგი პეტრიაშვილის და ალექსანდრე კოპლაშვილის სახელზე, მიღებული ტფ. ქალაქის გამგეობისაგან 1919 წ. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1580 3—3

დაიკარგა პასპორტი, მიღებული ტფილისის მილიციის უფროსის სამმართველოდან მარიამ ივანეს ასულ კავალიოვის მიერ. ჩაითვალოს გაუქმებულათ. 1663 3—3

დაიკარგა პასპორტი გალუსტა სიმონის ძე დოლდალბეკოვის სახელზე, მიღებული ტფ. მდაბიო მოქალაქეთ სამმართველოდან 1917 წ. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1634 3—3

დაიკარგა პირადობის მოწმობა, მიღებული სამხედრო სამინისტროდან, იაროსლ ტარების ნებართვა, მიღებული საქ. გენერალურ შტაბ ინგლისელების სამხ. პოლიციიდან ქ. ბაქოში, ნამსახურების ხუსხა, მიღებული ნიკეგოროდის პოლკიდან და დაჭრილობის ორი მოწმობა და სხ. საჭირო საბუთები პოლკოვ. ირმოინ-ხან კაპლანკოვის სახელზე, გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1706 3—2

დაიკარგა ატესტატი ტფ. 5 გიმნაზიიდან მიღებული ნიკოლოზ გიორგის ძე დოღიმკოვის სახელზე 1919 წელს. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1617 3—3

დაკარგე რკინის გზის სასურსათო განყოფილების წიგნაკი № 26082 დურგლიშვილის სახელზედ გთხოვთ გაუქმებულად ჩაითვალოს. 1667 3—3

ნიკოლოზ არტემის ძე იაროვი აუქმებს მინდობილობას, მიცემულს მის მიერ მისი შვილისადმი ადამ ნიკოლოზის ძე იაროვისადმი და დამტკიცებულს ტფილისის ნოტარიუსის მიტკევიჩის მიერ 1920 წ. 22 მარტს № 1244. 1662 3—3

იაკოფ ქრისტეფორეს ძე ტერ-ანდრიასოვი აუქმებს მინდობილობას, მიცემულს მის მიერ მანგლისის ერობის გამგეობის ბუღალტრის იაკოფ ანანის ძე კარტოშევისადმი 1702 3—2

დაიკარგა ექვსი კლასის მოწმობა №699 პავლე ნგუროვნოვის სახელზე, მიღებული ტფ. ვაჟთა 4 გიმნაზიიდან 1919 წ. გაუქმებულად ჩაითვალოს. 1703 3—2

ბიქტორ გიორგის ძე კანდელაკი აცხადებს, რომ მან დაკარგა ნასყიდობის სიგელი, დამტკიცებული ტფილისის ოლქის სასამართლოს უნოტროსი ნოტარიუსის მიერ 1914 წ. 26 მარტსა № 1001, გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1720 3—2

ქ. თბილისის მე-20 უბ. მომრიგებელი მოსამართლე იწვევს 8 იანვარს 1911 წელს გარდაცვლილებულ ტალალი არუთიანის მემკვიდრეებს, რათა მათ განაცხადონ თავიანთი უფლება არუთიანის ქონებაზე. სამ. კან. კრებ. 1 ნ. 10 ტ. 1241 მუხ. გათვალისწინებულ ვადაში. განცხადება ძალაში შედის 15 იანვრიდან. 27 1—1

ქ. ტფილისის მეოცე უბნის მომრიგებელი მოსამართლე იწვევს 1920 წელს 26 იანვარს, გარდაცვლებულ ბაგრატ არუთინოვის მემკვიდრეებს, რათა მათ განაცხადონ თავიანთი უფლება არუთინოვის ქონებაზე სამარ. კან. კრებ. 1 ნაწ. მეთე ტ. 1241 მუხლ. გათვალისწინებულ ვადაში. განცხადება ძალაში შედის 15 იანვრიდან 1920 წ. 26 1—1

დაიკარგა პირადობის მოწმობა, მიღებული სამხედრო სამინისტროდან, იაროსლ ტარების ნებართვა, მიღებული საქ. გენერალურ შტაბ ინგლისელების სამხ. პოლიციიდან ქ. ბაქოში, ნამსახურების ხუსხა, მიღებული ნიკეგოროდის პოლკიდან და დაჭრილობის ორი მოწმობა და სხ. საჭირო საბუთები პოლკოვ. ირმოინ-ხან კაპლანკოვის სახელზე, გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1706 3—2

დაიკარგა ატესტატი ტფ. 5 გიმნაზიიდან მიღებული ნიკოლოზ გიორგის ძე დოღიმკოვის სახელზე 1919 წელს. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1617 3—3

დაკარგე რკინის გზის სასურსათო განყოფილების წიგნაკი № 26082 დურგლიშვილის სახელზედ გთხოვთ გაუქმებულად ჩაითვალოს. 1667 3—3

ნიკოლოზ არტემის ძე იაროვი აუქმებს მინდობილობას, მიცემულს მის მიერ მისი შვილისადმი ადამ ნიკოლოზის ძე იაროვისადმი და დამტკიცებულს ტფილისის ნოტარიუსის მიტკევიჩის მიერ 1920 წ. 22 მარტს № 1244. 1662 3—3

იაკოფ ქრისტეფორეს ძე ტერ-ანდრიასოვი აუქმებს მინდობილობას, მიცემულს მის მიერ მანგლისის ერობის გამგეობის ბუღალტრის იაკოფ ანანის ძე კარტოშევისადმი 1702 3—2

დაიკარგა ექვსი კლასის მოწმობა №699 პავლე ნგუროვნოვის სახელზე, მიღებული ტფ. ვაჟთა 4 გიმნაზიიდან 1919 წ. გაუქმებულად ჩაითვალოს. 1703 3—2

ბიქტორ გიორგის ძე კანდელაკი აცხადებს, რომ მან დაკარგა ნასყიდობის სიგელი, დამტკიცებული ტფილისის ოლქის სასამართლოს უნოტროსი ნოტარიუსის მიტკევიჩის მიერ 1914 წ. 26 მარტსა № 1001, გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1720 3—2

ქ. თბილისის მე-20 უბ. მომრიგებელი მოსამართლე იწვევს 8 იანვარს 1911 წელს გარდაცვლებულ ტალალი არუთიანის მემკვიდრეებს, რათა მათ განაცხადონ თავიანთი უფლება არუთიანის ქონებაზე. სამ. კან. კრებ. 1 ნ. 10 ტ. 1241 მუხ. გათვალისწინებულ ვადაში. განცხადება ძალაში შედის 15 იანვრიდან. 27 1—1

ქ. ტფილისის მეოცე უბნის მომრიგებელი მოსამართლე იწვევს 1920 წელს 26 იანვარს, გარდაცვლებულ ბაგრატ არუთინოვის მემკვიდრეებს, რათა მათ განაცხადონ თავიანთი უფლება არუთინოვის ქონებაზე სამარ. კან. კრებ. 1 ნაწ. მეთე ტ. 1241 მუხლ. გათვალისწინებულ ვადაში. განცხადება ძალაში შედის 15 იანვრიდან 1920 წ. 26 1—1

დაიკარგა სოყახო პასპორტი გიორგი იმედაშვილის სახელზე, მიღებული საქართველოს წარმომადგენლიდან ქ. ი იალტაში 1920 წ. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1723 3—3

დაიკარგა მოწმობა პარმენ ლავრენტის ძე დევნარიანის სახელზე, მიღებული შორაპნის სამხედრო აღრიცხვის უფროსისგან № 769. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1716 3—1

დაიკარგა მოწაფეობის ბილეთი, სარეგისტრაციო ბარათის ასლი, და სომხეთში წასვლის ნებართვა, სერგო მანდილიანცის სახელზე, მიღებული ტფ. სომხების სემინარიიდან. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1712 3—1

დაიკარგა საკერავი მანქანის № 407|6197 ბათუმში გატანის ნებართვა ხაჩატურ კოკლიანის სახელზე, მიღებული ვაჭრობა მრეწველობის სამინისტროდან, გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1718 3—1

დაიკარგა პასპორტი ვლადიმერ გობას ძე ხუბულაშვილის სახელზე, მიღებული ტფ. მილიციის უფროსისგან 1920 წ. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1721 3—1

ვექილობა, მიცემული ჩემდამი ალექსანდრე ალექსანდრეს ძე ბებუთოვისაგან, როგორც მარიამ ივანეს ასულის ბებუთოვის რწმუნებული ევგენი გრიგორის ძე თამამშვილი ეკატერინე ლევანის ასულ თამამშვილთან ერთად და გიორგი ივანეს ძე თამამშვილზე თამამშვილის ქარავასლის სამხრეთ ნაწილის სამართველოთ გაუქმებულია. 731 3—1

ᲩᲐᲘ

ს. ალანაში (გურია)

იყიდება ადგილმამრივი საუკეთესო ღირსების ჩაი

პირობების გაგება შეიძლება მღვდ. ვ. ტუსკიასთან. (ნ.) 6—3

ტფ. ქალაქის გამგეობა

ამით აცხადებს, რომ 1920 წ. 3 ივლისს დილით 12 საათზე, ქალაქის გამგეობის დარბაზში დანიშნულია (თვითმართველობის შენობა, თავისუფლების მოედანზე) საჯარო ვაჭრობა ქალაქის ბუღჯის, რომელიც მდებარეობს რუსთაველის ქუჩაზე, ვენეს საკანდელტრასთან, იჯარით გასაცემათ. პირობების გაცნობა და საჭირო ცნობების მიღება შეიძლება ქალაქის საიჯარო და საადგილ-მამულო განყოფილებაში ნაშუადღევის 1—2 ს. 717 2—2 **ქალაქის გამგეობა**

საქართველოს სააღმოსავლეთო კომისია

ამით აცხადებს, რომ ამა წლის ივლისის ხუთს, დილის ათ საათზე კომისიის კანცელარიაში (ლორის-მელიქოვის ქუჩა, № 10) გაიცემა იჯარით **მუზეუმის** ახალ შენობის **კედლების გალესვა** გაჯით. პირობების გაცნობა შეიძლება მუზეუმის კანცელარიაში 9-დან 2-დის. 720 2—1

ქ. ბორჯომში

გზა-ტკეცილეგის და ნულით-სავალ სამმართველოს მეორეხარისხოვანის კანცელარიაში

5 ივლისს დილის 12 საათზე 1920 წ. დანიშნულია იჯარით ვაჭრობა დახურულ განცხადებებით, ფახზედ გადაუმეტებლად ქვემო აღნიშნული სამუშაოებზე:

527 კუბ. ხაჟ. გაუცხრილავი დამაგრებული ქვის დაშლადება შემდეგი გზების ორმოების შესაკეთებლათ: ბაშურა—ბორჯომი, ბორჯომ—ახალციხე და ახალციხე—ბაბათუმანის გზებზე ქვემო მოყვანილ რიგით:

1) ბაშურა-ბორჯომის შუა 1—26 ვერსი—130 კუბ. საქენი—273.135 მან.

2) ბორჯომ-ახალციხის შუა 1—17 ვერ.—86 კუბ. საქ.—180.720 მან.

3) ბორჯომ-ახალციხის შუა—18—19 ვერ. და ახალციხე-ბაბათუმანის შუა—50—79 ვერ. 296 კუბ. საქ.—594.220 მან. ოთხი თვის განმავლობაში გათავების ვადით მუშაობის დაწყების დღიდან.

იჯარით აღებს აქვს ნება ყოველ ინსპექციის გზაზედ გავლის დროს ჩაბაროს შესრულებული საქმე.

იჯარით აღებს მსურველს შეუძლია განაცხადოს მუშაობის აღება როგორც სულ მთლიან ზემო აღნიშნულზე ისე ცალ-ცალკე უბნებზე, ამასთანავე ფასი უნდა იყოს განსაზღვრული ან ერთიან სამუშაოზე, ან ცალ-ცალკე უბნებზე და ან ერთ კუბ. საქ. თლილ ქვაზე და ან ცალ-ცალკე.

იჯარით ვაჭრობის მსურველმა უნდა წარმოადგინოს ბეი 10% განცხადების თანხის შეადარებით, დამეკმაყოფილებით განცხადებით ან ღია. თუ რომ განცხადება იქნებენ ფოსტით ამ შემთხვევაში ფული უნდა იყოს გამოგზავნილი ცალკე დაბეჭდილი პაკეტით. განცხადებები უნდა იყოს წარმოდგენილი არა უგვიანეს დანიშნული დღის 12 საათამდე. დაბეჭდილ განცხადებაზე გარედან უნდა ეწეროს თუ რა სამუშაოები და ან რომელ უბანში სურს აიღოს სამუშაო.

ყველა ზემო აღნიშნული სამუშაოების იჯარით აღება შეუძლია პირობების გაგება მეოთხე დიინსტანციის კანცელარიაში ყოველ დღე გარდა უქმისა 10 საათიდან დღის 2 საათამდე ქ. ბორჯომში. 665 3—2

საბჭოთა სტამბა. რედაქტორის მოვალ. აღმ. გრიგოლ მაჭავარიანი.